

საიდ. №72873/03

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №105-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავას მდივნობით განიხილა კომპანია „კაიზერდომ-პრივატბრაუერაი ბამბერგ ვორნერ გმბჰ & კო., კგ“ („Kaiserdom-Privatbrauerei Bamberg Wörner GmbH & Co. KG“) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის „Kaiserdom“ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №436/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Kaiserdom“ (საიდ. №72873/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (32-ე კლასი).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის

უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №436/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Kaiserdome“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან, იგი მსგავსია კომპანიის სს „ლომისი“ (მისამართი: სოფელი ნატახტარი, 3308, მცხეთის რაიონი) სახელზე, რეგისტრირებული ნიშნებისა: „კაიზერი KAISER Kaйcep“ (რეგისტრაციის №16932, რეგისტრაციის თარიღი: 26/10/06) და „Kaiser Bräu“ (რეგისტრაციის №16933, რეგისტრაციის თარიღი: 26/10/06). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილ და დაპირისპირებული ნიშნებს აქვთ, როგორც გამოსახულებითი, ასევე ჟღერადობით მსგავსება, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 32-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „კაიზერდომ-პრივატბრაუერაი ბამბერგ ვორნერ გმბჰ & კო., კგ“ („Kaiserdome-Privatbrauerei Bamberg Wörner GmbH & Co. KG“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტი არ ეთანხმება „საქპატენტის“ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სასაქონლო ნიშნის „Kaiserdome“ საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი 32-ე კლასის საქონლისათვის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აპელანტი მიიჩნევს, რომ ორივე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, „კაიზერი KAISER Kaйcep“ და „Kaiser Brau“, რომლებიც რეგისტრირებულია ქართული კომპანიის სს „ლომისი“-ს სახელზე, შეცდომაში შემყვანია საქონლის

წარმოშობის ადგილის მიმართ, რადგან უცხო სიტყვათა ლექსიკონის (გვ. 211, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი - 1989 წ.) თანახმად, კაიზერი (გერმანულად Kaiser) არის გერმანიისა და ავსტრიის ყოფილი იმპერატორების ტიტული, ან ამ ტიტულის მქონე პირი და აქედან გამომდინარე, მიანიშნებს საქონლის გერმანულ ან ავსტრიულ წარმოშობაზე. ხოლო სასაქონლო ნიშანი „Kaiser Bräu“, რომლის მნიშვნელობებიც ქართულ ენაზე არის: კაიზერის ლუდი; კაიზერის ლუდსახარში ქარხანა, კაიზერის ლუდის ბარი და ა.შ., ამასთან ერთად, აღწერილობითიცაა 32-ე კლასის საქონლისათვის. აღნიშნული გარემოებები ამცირებენ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განმასხვავებლობის დონეს და აპელანტის აზრით, სამართლიანი იქნება, რომ მოხდეს მის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აპელანტს მიაჩნია, რომ არ არსებობს სასაქონლო ნიშნის „Kaiserdom“, (განაცხ. საიდ. №72873/03), რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად, აპელანტი ითხოვს, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიამ ბათილად ცნოს სასაქონლო ნიშნის „Kaiserdom“ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №436/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი „Kaiserdom“ დარეგისტრირდეს 32-ე კლასის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი 105-03/14 არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგია განმარტავს, რომ განცხადებული ნიშნის დაცვა მოთხოვნილია მხოლოდ 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის და შესაბამისად, ექსპერტიზამ

მის დასკვნაში მოახდინა განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების შედარება 32-ე კლასთან მიმართებაში. რაც შეეხება განცხადებული ნიშნის „Kaiserdom“ და დაპირისპირებული ნიშნის „კაიზერი Kaiser Kaizer“ მსგავსებას, კოლეგია მათ აღრევამდე მსგავს ნიშნებად მიიჩნევს. განცხადებული ნიშნის პირველი ექვსი ასო „Kaiser“, იდენტურია დაპირისპირებული ნიშნის ლათინური აღნიშვნისა „Kaiser“, ანუ განცხადებული ნიშანი მთლიანად მოიცავს აღნიშვნას „Kaiser“, განსხვავებულია მხოლოდ განცხადებული ნიშნის ბოლო სამი ასო. ასევე, ის გარემოება, რომ დაპირისპირებული ნიშანი სამ ენაზეა შესრულებული, ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და შესაბამისად, მომხმარებლის შეხდომაში შეყვანა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურადაც, გაცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „კაიზერი“, ხოლო დაპირისპირებული როგორც „კაიზერდომი“.

განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ნიშნების საწყისი ნაწილი „Kaiser“ და სწორედ მასზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაბოლოებას, მას აქვს სუსტი განმასხვავებლობის ხარისხი და შესაბამისად, ვერ სძენს სასაქონლო ნიშნებს საკმარის განსხვავებას.

მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რაც კიდევ უფრო ამყარებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, „გ“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგია ასევე აღრევამდე მსგავს ნიშნებად მიიჩნევს განცხადებულ ნიშანს „Kaiserdom“ და დაპირისპირებულ ნიშანს „Kaiser Bräu“. აქაც იდენტურია განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების პირველი ექვსი ასო „Kaiser“. აღნიშნულ ნიშნებს კოლეგია ასევე მიიჩნევს მსგავსი ჟღერადობის მქონე ნიშნებად „კაიზერდომი“ - „კაიზერ ბროი“.

ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ განცხადებულ ნიშანს გააჩნია სემანტიკური დატვირთვა და აღნიშნავს „კაიზერის/საიმპერატორო ტაძარს“, „კაიზერის/საიმპერატორო კათედრალს“. ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „კაიზერი KAISER Kaizer“, აღნიშნავს უშუალოდ კაიზერს, იმპერატორს. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს „Kaiser Bräu“, იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კაიზერის ლუღხანად“. ვინაიდან, დაპირისპირებული ნიშნები შინაარსობრივად მიუთითებენ და უკავშირდებიან სხვადასხვა სახით კაიზერს-იმპერატორს, ისინი მიჩნეულნი უნდა იქნენ მსგავსი სემანტიკის მქონე ნიშნებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ძალაში უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №436/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „კაიზერდომ-პრივატბრაუერაი ბამბერგ ვორნერ გმბჰ & კო., კგ“ (Kaiserdom-Privatbrauerei Bamberg Wörner GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილ ის №436/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

თ. ჯაფარიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

ლ. კერესელიძე